



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### იოაკიმე

იოაკიმე, იოვაკიმე, აფხაზეთის (დას. საქართველო) კათოლიკოსი დაახლოებით XV ს. 70-იან წლებში, ცაიშელ-ბედიელი მთავარეპისკოპოსი. ქართლ-იმერეთის მეფის, ბაგრატ VI-ის, დადიანისა და გურიელის თანამზრახველობით ი. კათოლიკოსად აკურთხა არა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, არამედ დას. საქართველოში ჩამოსულმა იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქმა მიქაელმა (1470/74-84). ამ აქტით ბაგრატ VI-მ პოლიტიკურად დაშლილ საქართველოში დასავლეთის ეკლესიაც მცხეთისაგან დამოუკიდებელი გახადა. იმავე პატრიარქ მიქაელის სახელით შედგა კანონიკური ძეგლი „მცნებად სასჯულოდ“, რითაც აფხაზეთის (დას. საქართველოს) კათოლიკოსი გაუთანასწორდა მცხეთის კათოლიკოს-პატრიარქს და განსაზღვრა მისი იურისდიქცია [იურისდიქციად განამტკიცა აფხაზეთის (დას. საქართველოს) კათოლიკოსის დამოუკიდებლობა აღმ. საქართველოს უმაღლესი საეკლ. ხელისუფლებისგან].

წყაროებში ი. დახასიათებულია როგორც საეკლ. საქმეების ენერგიული გამგებელი, რ-იც განსაკუთრებით ზრუნავდა საკუთრივ აფხაზეთში ქრისტ. რელიგიის განმტკიცებაზე. ი-მ დიდი ამაგი დასდო ქართველთა ჯვრის მონასტერს იერუსალიმში, რის გამოც ხსენებულ მონასტერში საუკუნო აღაპი დაუნესეს.

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970.

ლიტ.: ლომინაძე ბ., საქართველო XV ს. მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფოებად და სამთავროებად, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ.,

1982.

*თ. მარგველაშვილი*

---